# ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

## 10 წელი

2013-2023

# ჩვენ შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია **ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)** დაფუძნდა 2013 წელს.

**ჩვენი მიზნები:** რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა და ადვოკატირება, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევა, თანასწორობის, სამოქალაქო ინტეგრაციის, კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტული გარემოს, ინტერკულტურული დიალოგის, დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

**ჩვენი საქმიანობა:** რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის, რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევის მიზნით სტრატეგიული სამართალწარმოება და ადვოკატირება; სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, კვლევა და ანალიზი; ტოლერანტობის, თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობისთვის საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და არაფორმალური განათლება; საჯარო განათლების სფეროში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობა და ადვოკატირება; ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით, აკადემიურ და უფლებადამცველ ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან, მედიასთან თანამშრომლობა; ადგილობრივი რელიგიური, ეთნიკური სათემო ორგანიზაციების გაძლიერება და მხარდაჭერა.

# 10 წლიანი მუშაობის შეჯამება

## სტრატეგიული სამართალწარმოება და ადვოკატირება

### სტრატეგიული სამართალწარმოება და იურიდიული დახმარება

დაარსების დღიდან, ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვისა და რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დასაძლევად სტრატეგიული სამართალწარმოების გზით.

საქმიანობის 10 წელში, რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების უფლებების დაცვის მიზნით:

- სასამართლოებში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სახალხო დამცველთან ვაწარმოეთ **60-მდე** საქმე;
- სამართლებრივი კონსულტაცია გავუწიეთ **1,500-მდე** ფიზიკურ და იურიდიულ პირს;
- სამართლებრივი დახმარება გავუწიეთ რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი სიძულვილის ნიშნით მოტივირებული დანაშაულების **30-მდე** მსხვერპლს;

## სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად:

- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად და დისკრიმინაციულად ცნო საგადასახადო კოდექსის და სახელმწიფო ქონების კანონის კონკრეტული ნორმები, რითაც **აღმოიფხვრა რელიგიის ნიშნით უთანასწორობა;**
- **სასამართლომ უკანონოდ ცნო** რელიგიური ნაგებობების მშენებლობისთვის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანხმობის მოთხოვნა;
- **სასამართლომ რელიგიის თავისუფლების დარღვევად მიიჩნია** ადვენტისტი აბიტურიენტებისთვის შაბათ დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდის დანიშვნა, რითაც შესაძლებლობა მიეცათ, გამოცდა სხვა დღეს ჩაებარებინათ;
- კომერციულ ბანკებში **აღმოიფხვრა ნიგერიის მოქალაქეების მიმართ დისკრიმინაცია;**
- არაერთ მიგრანტს აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან **მიენიჭა ბინადრობის ნებართვა;**
- თავშესაფრის მაძიებლებს **მიენიჭათ თავშესაფარი.**

## ადვოკატირება

TDI სწავლობს რელიგიის თავისუფლების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების და მიგრანტების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას, პრაქტიკას და კანონმდებლობას. ჩვენი აქტიური ძალისხმევითა და თანამონაწილეობით, საქართველოს კონსტიტუციიდან ამოიღეს ჩანაწერი, რომელიც უკანონოდ ზღუდავდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას; ჩავარდა საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გაუმართლებლად შეზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას და დასჯადს გახდიდა ე.წ. „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასა“ და “მკრეხელობას”; აქტიურად ვიმუშავეთ, რომ ხელისუფლებას არ მიეღო სახიფათო კანონი რელიგიის შესახებ; გამოვედით არაერთი დისკრიმინაციული საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ.

პანდემიის პერიოდში, TDI ეხმარებოდა საქართველოში მცხოვრებ მიგრანტებს, რომ დაეცვა მათი ჯანმრთელობის, განათლების, მიმოსვლისა და სხვა უფლებები; სწავლობდა პანდემიის დროს სახელმწიფოს დისრკიმინაციულ პოლიტიკას რელიგიური ორგანიზაციების მიმართ; ადვოკატირებას უწევდა რელიგიის ნიშნით თანასწორობისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის საკითხებს.

ეფექტიანი ადვოკატირებისა და იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით, TDI-ს იურისტები მუდმივად მართავენ შეხვედრებს ადგილობრივ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებთან საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით: ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში.

ადვოკატირების მიზნით, TDI ხშირად მართავს სხვადასხვა ტიპის შეხვედრასა და ღონისძიებას რელიგიური და ეთნიკური თემების, მიგრანტების, სახელმწიფო უწყებების, დიპლომატების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მედიის მონაწილეობით.

## არაფორმალური განათლება

### მრავალფეროვნების სახეები

TDI აქტიურად მუშაობს რელიგიური, ეთნიკური, კულტურული მრავალფეროვნების, შემწყნარებლობისა და თანასწორობის საკითხებზე ცოდნისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული პლატფორმა არის **“მრავალფეროვნების სახეები”,** რომელიც 2017 წელს შეიქმნა. ამ პროექტის ფარგლებში მოვამზადეთ დოკუმენტური ვიდეოები, საგანმანათლებლო სტატიები, ფოტოისტორიები, გამოფენები, დისკუსიები და შეხვედრები ახალგაზრდებთან თბილისსა და რეგიონებში.

## მრავალფეროვნების სახეები

- 20-მდე საგანმანათლებლო სტატია
- 40-მდე განსხვავებული შინაარსის ვიდეოპორტრეტი სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური და კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებზე *(*მუსლიმები, კათოლიკეები, პროტესტანტები, იუდაიზმის მიმდევრები, კრიშნას მიმდევრები, იეჰოვას მოწმეები, ეზიდები და სხვ., ეთნიკური აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, მიგრანტები სხვადასახვა ქვეყნიდან, მათ შორის შრი-ლანკელები, ირანელები, ნიგერიელები და სხვ.*)*
- 10-მდე საგანმანათლებლო ვიდეო საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წვლილზე, მემკვიდრეობასა და ისტორიაზე;
- 60-ზე მეტი შეხვედრა თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან.

TDI-ის მიერ მომზადებული მასალების დიდი ნაწილი შეტანილია დამატებით ლიტერატურად სასკოლო სახელმძღვანელოებში, მათ იყენებენ უნივერსიტეტები, სკოლები და სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაციები. მათ შორის ერთ-ერთი ფოტოისტორია დაჯილდოვებულია ევროკავშირის პრიზით ჟურნალისტიკაში (2018) და ერთ-ერთი დოკუმენტური ვიდეო, მუსლიმი თემის წარმომადგენლის, ჰურიე აბაშიძის შესახებ, ADAMI მედია ჯილდოთი კულტურულ მრავალფეროვნებაზე. პროექტი დაეხმარა მედიას კულტურული მრავალფეროვნების უკეთ გაცნობაში და არაერთი სიუჟეტი მომზადდა TDI-ის მასალებზე დაყრდნობით. ამ პროექტმა ასევე ხელი შეუწყო ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის ლიდერების აღმოჩენასა და გაძლიერებას.

***

სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, TDI-ს შექმნილი აქვს მდიდარი საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი რესურსები სხვადასხვა თემატიკაზე, მათ შორის ტოლერანტობის ტრადიციაზე საქართველოში; ადამიანებზე, რომლებმაც შეიცვალეს წარმოდგენები მრავალფეროვნებასა და თანასწორობაზე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის, თანასწორობისა და შემწყნარებლობის, ქართული ტრადიციების ევროპულ ღირებულებებთან თანხვედრაზე და სხვა.

## საჯარო განათლებაში რეფორმებისა და პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობა

ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ფარგლებში, TDI-მ შეძლო საჯარო სკოლებში კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტობის და თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შინაარსის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.
საქართველოს განათლების სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, საჯარო სკოლების მასწავლებლებლების, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლებისთვის მომზადდა არაერთი საგანმანათლებლო რესურსი.

ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის 60-მდე სახელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა დაცვის, თანასწორობისა და კულტურული მრავალფეროვნების ასახვის კრიტერიუმებით ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, მომზადდა რეკომენდაციები და გზამკვლევი. ეს რესურსები გრძელვადიანად ეხმარება სახელმძღვანელოების ავტორებსა და გამომცემლებს წიგნები მეტად დაუახლოვონ ადამიანის უფლებებისა და ტოლერანტობის პრინციპებს; თავიდან აირიდონ დისკრიმინაციული და სტერეოტიპული ენა; უკეთ წარმოაჩინონ კულტურული მრავალფეროვნება სახელმძღვანელოებში.

სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულის საფუძველზე, ჩატარდა **80-მდე შეხვედრა და გადამზადდა 165-ზე მეტი მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და საგნობრივი ექსპერტი.**

პროექტის ფარგლებში მომზადდა არაერთი საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსი, რომლებიც განკუთვნილია როგორც მასწავლებლებისთვის და მკვლევრებისათვის, ისე სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის შედგენილი გზამკვლევი ავტორებს დაეხმარა, ახალ სახელმძღვანელოებში უკეთ ასახულიყო საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება, შინაარსი არ ყოფილიყო დისკრიმინაციული და სტერეოტიპული განწყობების, სიძულვილის ენის შემცველი.

“ტოლერანტობის გაკვეთილები” კი წარმოაჩენს საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიის თავისუფლებასა და ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებს სთავაზობს.

# TDI-ს სასწავლო პროგრამები და კურსები

## რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სკოლა

TDI აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე და თანასწორობაზე ცოდნის ასამაღლებლად.

2023 წელს, ოსლოს უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ნორვეგიულ ცენტრთან ერთად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე ოსლოს კოალიციის პროექტის ფარგლებში, შევქმენით პირველი საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსი და სასწავლო-სატრენინგო მოდული საქართველოში - "რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ყველასთვის."

სკოლა დაიწყო 2023 წლის 28 სექტემბერს და მოიცავს ოთხ ყოველკვირეულ ონლაინ სემინარსა და დასკვნით შეხვედრებს ფიზიკურ სივრცეში, რომლებსაც უძღვებოდნენ TDI-ის, ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ოსლოს უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ნორვეგიული ცენტრის ექსპერტები. კურსში მონაწილეობას იღებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან საჯარო მოხელეები და საჯარო უწყებებში დასაქმებული პირები, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე; სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის არასამთავრობო, რელიგიური, სათემო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. სასწავლო კურსი ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა და ნორვეგიის მხარდაჭერით.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სასწავლო კურსს TDI მომავალშიც შესთავაზებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიას.

## ტოლერანტობის სკოლა

ახალგაზრდებში ტოლერანტობის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა და სეკულარობის პრინციპების შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და ამ საკითხებზე დისკუსიის ხელშეწყობისთვის, TDI პერიოდულად მართავს საჯარო ლექციების ციკლს აკადემიურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შევქმენით საჯარო ლექციების კურსი "ტოლერანტობის სკოლა". გაიმართა 12 საჯარო ლექცია, სადაც მონაწილეები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ტოლერანტობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის კონცეფციებს გაეცნენ სხვადახვა პერსპექტივით: კინო, ლიტერატურა, ხელოვნება, მედია, რელიგია, დემოკრატიული პოლიტიკა და სხვ.

## მრავალფეროვნება, თანასწორობა და ჩართულობა (DEI)

საქართველოს გაეროს ასოციაციისა და USAID-ის პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, 2023 წელს TDI-მ შეიმუშავა ქართულ კომერციულ და საჯარო ორგანიზაციებზე მორგებული მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის (DEI) ინოვაციური ტრენინგ პროგრამა. ის მიმართულია რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე.

ეს არის მოკლე საგანმანათლებლო პროგრამა დამსაქმებლებისა და დასაქმებულთათვის, რომელიც ეხმარება მრავალფეროვნების წახალისებას და ცნობიერების ამაღლებას; ორგანიზაციებს ასწავლის, თუ როგორ შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა წარმოშობის, კულტურის, ეთნოსის, რელიგიის, რწმენისა და იდენტობის ადამიანებისთვის ჰარმონიული და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემო.

TDI კერძო და საჯარო სექტორს სთავაზობს ტრენინგ კურსს, რაც მოიცავს სამუშაო სივრცეში მრავალფეროვნების მნიშვნელობის, მისი ფორმების შესახებ ინტერაქციულ ინფორმაციას; მიკერძოების (bias) ფორმების მიმოხილვას; მსჯელობას ინტერსექციურობის სირთულეებზე; მონაწილეები ეცნობიან მრავალფეროვნების მნიშვნელობასა და სარგებელს; მსჯელობენ ინკლუზიური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებაზე, ჩართულობის გაზრდაზე და სამუშაო სივრცეში ყველა სახის შევიწროვებისა და ჩაგვრის აღმოფხვრაზე.

## მედიასთან თანამშრომლობა და ცნობიერების ამაღლება

არაერთი წელია, რაც TDI მედიასთან სხვადასხვა ფორმატში აქტიურად თანამშრომლობს - ატარებს ტრენინგებს მედია ორგანიზაციებისთვის; აწყობს შეხვედრებს ადგილობრივ ეთნიკურ/რელიგიურ თემებს, აქტივისტებს და მედიების წარმომადგენლებს შორის; ამზადებს საგანმანათლებლო მასალებს როგორც მედია ორგანიზაციებისთვის, ისე ჟურნალისტიკის სტუდენტებისთვის.

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის და ათამდე სხვადასხვა მედია ორგანიზაციის თანამშრომლობით, დღეისათვის მომზადებული და გამოქვეყნებულია 40-მდე ჟურნალისტური მასალა, რომელიც სხვადასხვა რელიგიური/ეთნიკური თემის წარმომადგენლების, მიგრანტების, მათი პრობლემებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად.

TDI-ს მედიებისთვის მომზადებული აქვს შემდეგი სახელმძღვანელო გზამკვლევები: “მედიაში ხშირად გამოყენებული ტერმინების ლექსიკონი - რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება”, გზამკვლევი ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და მედიისთვის - როგორ გავაშუქოთ მიგრაცია და მიგრანტები”.

## TDI-ს კვლევები და ანგარიშები

TDI რეგულარულად ამზადებს და აქვეყნებს ანალიტიკურ ანგარიშებსა და კვლევებს. მათში ასახულია ქვეყანაში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის, რასიზმისა და მიგრანტთა სამართლებრივი მდგომარეობა. ეს დოკუმენტები ეფუძნება სხვადასხვა კვლევით ინსტრუმენტს და კრიტიკულად აანალიზებს სახელმწიფოს პოლიტიკას, პრაქტიკასა და კანონმდებლობას; აფასებს მათ ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

### რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

- TDI რეგულარულად ამზადებს და აქვეყნებს საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ სპეციალურ ანგარიშებს: *2010-2019; 2020-2021; 2022;*
- რელიგიური ქონების რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში *(2020)*;
- რელიგიური გაერთიანებების საჭიროებების კვლევა *(2014);*
- საქართველოში რელიგიური დისკრიმინაციისა და კონსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა *(2014);*
- რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში *(2014-2015)*
- რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში *(2013-2014)*



## რასიზმი და მიგრანტთა უფლებები

- TDI სპეციალურ ანგარიშებში ასახავს საქართველოში რასიზმის, ქსენოფობიისა და უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას: *2014-2018; 2020-2021; 2022.*
- რასობრივი გამორჩევა (racial profiling) საქართველოში: საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა *(2021);*

## ანტისემიტიზმი

TDI-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. ჩვენ 2020 წლიდან ვაკვირდებით საქართველოში ანტისემიტიზმის ტენდენციებს და აღვწერთ ფაქტებს.

- *2020-2021* წლები ანტისემიტური განცხადებების ქრონოლოგია;
- *2022* წლის ანტისემიტიზმის შემთხვევები;
- 2023 წლის ანტისემიტიზმის შემთხვევები;

# გზამკვლევები

- გზამკვლევი სახელმძღვანელოს ავტორებისთვის: „რასა“, რასიალიზაცია და გლობალური მიგრაცია *(2022)*;
- გზამკვლევი ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და მედიისთვის: როგორ გავაშუქოთ მიგრაცია და მიგრანტები *(2021)*;
- რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება: მედიაში ხშირად გამოყენებული ტერმინების ლექსიკონი *(2020)*;
- გზამკვლევი სკოლის მასწავლებლებისთვის: ტოლერანტობის გაკვეთილები - რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება სკოლაში *(2019)*;
- გზამკვლევი ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების ავტორებისთვის *(2018)*;
- სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობისთვის: რელიგიის თავისუფლების სტანდარტები *(2018)*;

# საჯარო ღონისძიებები და შეხვედრები

## ლექციები, ტრენინგები და სემინარები

ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების გაზრდის, ინტეგრაციის, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირების მიზნით, TDI რეგულარულად ატარებს ლექციებს, საგანმანათლებლო ტრენინგებს, სემინარებსა და დისკუსიებს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

## ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

ყოველ წელს TDI ტრადიციულად აღნიშნავს ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს (16 ნოემბერი) სხვადასხვა ღონისძიებით: ვაწყობთ გამოფენებს, პრეზენტაციებს, ონლაინ კამპანიებსა და დისკუსიებს. ამ ღონისძიებებით ხაზს ესმება ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობას; მათში წარმოჩენილია საქართველოს ისტორიასა და კულტურაში განსხვავებული რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების დამსახურება და წვლილი; პოპულარიზაციას ვუწევთ ქართველი ავტორების, სასულიერო და საერო მოღვაწეების შეხედულებებს თანასწორობაზე, ტოლერანტობასა და კულტურულ მრავალფეროვნებაზე.

## შეხვედრები, მრგვალი მაგიდები და დისკუსიები

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, რელიგიურ-ეთნიკური უმცირესობების და მიგრანტების უფლებათა დაცვისა და ადვოკატირების მიზნით, TDI რეგულარულად მართავს სხვადასხვა ფორმატის დახურულ და საჯარო დისკუსიებსა და მრგვალ მაგიდებს, სამუშაო შეხვედრებს თბილისსა და რეგიონებში. ამ შეხვედრებში მონაწილეობენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობებიდან, პოლიტიკური პარტიები, მედიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური და ეთნიკური სათემო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული ადამიანები.

## TDI-ის პარტნიორები და დონორები

- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო / United States Agency for International Development (USAID)
- ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის / The European Endowment for Democracy (EED)
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში / Embassy of the Netherlands in Georgia
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი / East-West Management Institute (EWMI)
- საქართველოს გაეროს ასოციაცია / UN Association of Georgia (UNAG)
- ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო / Norwegian Ministry of Foreign Affairs
- გაეროს განვითარების პროგრამა / United Nations Development Programme (UNDP)

ოსლოს უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ნორვეგიული ცენტრი / Norwegian Centre for Human Rights (NCHR), University of Oslo

ღია საზოგადოების ფონდი / Open Society Georgia Foundation (OSGF)

ევროპის საბჭო / Council of Europe

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია / International Organization for Migration (IOM)

ეუთოს ეროვნული უმცირესობების საკითხებზე უმაღლესი კომისრის ოფისი / OSCE High Commissioner on National Minorities

## არასამთავრობო კოალიციები

TDI აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ უფლებადაცვით ორგანიზაციებთან კოალიციებისა და პლატფორმების ფორმატშიც. ჩვენი ორგანიზაცია შემდეგი კოალიციების წევრია:

კოალიცია თანასწორობისთვის

არა ფობიას!

კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

TDI